პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

№ 195 (2915) ● კვირა, 3 ოქტომბერი, 1965 წ. ● ფასი 8 კაპ.

ომარ ტურინი — ომარ ფხაკაძის სასახელოდ



მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ ომარ ფხაკაძის სახელმა სან-სებასტიანში უჩვეულო პოპულარობა მოიხვეჭა. სპრინტერული რბოლის ფინალისტმა და საბჭოთა ველოსიპედისტის მთავარმა კონკურენტმა, იტალიელმა ტურინიმ რომში ჩამოსვლის შემდეგ რადიოს კორესპონდენტებს შემდეგი განუცხადა: „ნოემბერში ჩემი მეუღლე შვილს ელის. დარწმუნებული ვარ, რომ ვაჟის მამა გავხდები. თავდაპირველად მემკვიდრისათვის მსურდა სებასტიანო დამერქმია, ახლა კი გადავწყვიტე ომარი ვუწოდო".

...

სურათზე: ფინალური რბოლა ტურინისა და ფხაკაძეს შორის. როგორც ხედავთ იტალიელი წინაა, მაგრამ მას მოუსვენრობა ეტყობა. ფხაკაძე გაქცევისთვის ხელსაყრელ მომენტს უცდის.

(ფოტო თბილისში ჩამოსვლის შემდეგ რედაქციას ო. ფხაკაძემ გადმოსცა).

ა. კიკნაძე, ა. ქიბროწაშვილი, ფ. ჩიკვილაძე — „ბრაზილიის კანდიდატები"

მოსკოვი, 2 ოქტომბერი. როგორც ცნობილია, 14-17 ოქტომბერს ბრაზილიაში ტარდება მსოფლიო ჩემპიონატი ძიუ-დოში. ქართველ სპორტსმენთაგან ჩემპიონატზე გამგზავრების კანდიდატები არიან ანზორ კიკნაძე, ანზორ ქიბროწაშვილი და ფარნაოზ ჩიკვილაძე.

თბილისი — საერთაშორისო ასპარეზი

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ოქტომბერში საქართველოს დედაქალაქს ეწვევიან თურქი კალათბურთელები, ხოლო შემდეგ — თანამედროვე ხუთჭიდში საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი. მათ გარდა ოქტომბერში თბილისი სხვა საზღვარგარეთელ სპორტსმენებსაც უმასპინძლებს.

ამ საერთაშორისო ასპარეზობებიდან აღსანიშნავია კლასიკურ ჭიდაობაში ირანელ სპორტსმენებთან შეხვედრა, რომელიც თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება. საქართველოს დედაქალაქის კორტებზე კი ავღანელი ჩოგბურთელები (ქაბულის უნივერსიტეტის გუნდი) გამოვლენ.

გუშინ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა „მსოფლიო გვირგვინისათვის"

ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში შედგა ასუჯრიან შაშში მსოფლიო პირველობაზე მატჩის II პარტია ვ. შჩოგოლევსა და ი. კუპერმანს შორის, რომელშიც თეთრებით თამაშობდა შჩოგოლევი. 45-ე სვლაზე კუპერმანმა მსოფლიო ჩემპიონი აიძულა თავი დამარცხებულად ეცნო.

პარტია არ შედგა

მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილ — ა. კუშნირის საჭადრაკო მატჩის VII პარტია ა. კუშნირის ავადმყოფობის გამო არ შედგა. იგი გაიმართება ორშაბათს, 4 ოქტომბერს.

ფეხბურთი
1965

„ა" კლასი

მოსკოვი, 2 ოქტომბერი. დღეს აქ გაიმართა მატჩი ფეხბურთში ადგილობრივმა „დინამომ" მიიღო ტაშკენტის „პახტაკორი". გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:1. ბურთების ავტორები არიან: ტაშკენტელთაგან — **აბდურაიმოვი;** მოსკოველთაგან — **გუსაროვი** და **ცარიოვი** (საკუთარ კარში).

„ბ" კლასი

ხუთი მატჩი

საქართველოს გუნდების მონაწილეობით გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე „ბ" კლასში რსფსრ-ს IV ზონაში.

ტყიბული, 2 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი საკ. კორ.). ადგილობრივმა „მეშახტემ" მიიღო ლენინაკანის „შირაკი". 90 წუთის განმავლობაში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო ანგარიშის გახსნა და მეტოქეებმა თითო ქულა ჩაიწერეს — 0:0.

ზ. ჯორჯაძე.

ბათუმი, 2 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი საკ. კორ.). დღეს აქ ადგილობრივი „დინამოს" ფეხბურთელებმა მიიღეს კიროვაბადელი თანაკლუბელები. თამაში მასპინძელთა შეტევებით დაიწყო, მაგრამ გოლი მხოლოდ 22-ე წუთზე იქნა გატანილი. ბათუმელთა მცველმა ყურშუბაძემ ბურთი მიიღო მოედნის ცენტრში, გვერდი აუარა მეტოქის 3 მცველს და 18 მეტრიდან ულამაზესი დარტყმით გახსნა ანგარიში. 35-ე წუთზე სტუმრების თავდამსხმელმა ზეინალოვმა გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

მატჩის მეორე ნახევარი მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობით აღინიშნა. ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობები ვერც ერთმა მხარემ ვერ გამოიყენა. საბოლოოდ ფრე — 1:1.

ო. მურვანიძე.

ფოთი, 2 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი საკ. კორ.). გურჯაანის „ალაზანმა" ადგილობრივ „კოლხიდასთან" გამართა მორიგი მატჩი. შეხვედრის ორივე ნახევარი ფოთელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ანგარიში 83-ე წუთამდე „მშრალი" იყო. ამ წუთზე კი ჯიბლაძის ჩაწოდებიდან კალიუჟნოვმა გაიტანა პირველი ბურთი. ორიოდე წუთის შემდეგ ჯიბლაძემ ანგარიში ორამდე გაზარდა. მანვე 88-ე წუთზე საბოლოოდ განამტკიცა ფოთელთა გამარჯვება — 3:0.

ა. ლომაია.

ზუგდიდი, 2 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი საკ. კორ.). „ენგურის" ფეხბურთელებმა მიიღეს სუმგაითის „ფოლადის" სპორტსმენები. მასპინძლები უფრო მეტად აქტიურობდნენ და მე-10 წუთზე ნესტერევმა ანგარიშიც გახსნა — 1:0. ამის შემდეგ ინიციატივას მთლიანად ზუგდიდელები დაეუფლნენ. აბრალავა, ნესტერევი, გორეშნევი ხშირად გადიოდნენ მეტოქის კართან, მაგრამ უზუსტოდ ურტყამდნენ. სტუმრების შეტევები ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. მასპინძლებს გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა. გაიმარჯვა „ენგურმა" — 1:0.

ა. ბახტურიძე.

სოხუმი, 2 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი საკ. კორ.). ადგილობრივმა „დინამომ" მიიღო რუსთავის „მეტალურგი". თამაშის ორივე ნახევრის განმავლობაში ტემპი დაბალი იყო და სანახაობრივადაც მატჩი უფერული გამოდგა. სოხუმელთა მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა მატჩის ბედი მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ა. ვეფხვაძე.

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

პირეაში მსოფლიო პირველობაზე შესარჩევი მატჩის (საბერძნეთი — სსრ კავშირი) რადიორეპორტაჟის მოსმენა თბილისელ სპორტის მოყვარულებს შეუძლიათ 19 საათსა და 15 წუთზე ადგილობრივი დროით.

დღეს „კარაისკაკისზე"

ლონდონის საგზურისათვის!

დადგა დღე, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდნენ ფეხბურთის მოყვარულნი: 3 ოქტომბერი, პირეა, „კარაისკაკის" სტადიონი. საკვალიფიკაციო მატჩი მსოფლიო პირველობაზე: საბერძნეთი — სსრ კავშირი.

ბევრი რამაა დამოკიდებული ამ მატჩზე. მართალია, საბჭოთა ფეხბურთელებს ევროპის VII ჯგუფში ახლა საუკეთესო მდგომარეობა აქვთ (3 მოგებული მატჩი, ქულათა მაქსიმუმი — 6), მაგრამ პირველი ადგილის აღების თეორიული შანსი არ დაუკარგავს არც ერთ მონაწილეს, მით უმეტეს, ბერძნებს, რომლებმაც 4 ჩატარებულ შეხვედრაში დააგროვეს 4 ქულა. სწორედ ისინი არიან საბჭოთა გუნდის მთავარი კონკურენტები ლონდონის საგზურისათვის ბრძოლაში.

შეიძლება ითქვას, ჯერ არასოდეს მომზადებულა საერთაშორისო შეხვედრისათვის საბერძნეთის ნაკრები, როგორც ახლა. 20 აგვისტოდან მოყოლებული გუნდის წევრები შეკრებაზე იმყოფებოდნენ და მთავარი მწვრთნელი კ. მაროპულოსი საგულდაგულოდ არჩევდა ამ გადამწყვეტი მატჩის მონაწილეებს.

საბერძნეთში საკმაოზე მეტი ოპტიმიზმით მოელიან დღევანდელ თამაშს. საკუთარი მინდორი, ცხელი ამინდი, 45 ათასი ექსპანსიური მაყურებლის თავგამოდებული მხარდაჭერა, ყველაფერი ეს საუკეთესო ფონია კარგად მომზადებული გუნდისთვის, რომელიც ყველაფერს გააკეთებს, რათა აიღოს რევანში მოსკოვში განცდილი დამარცხებისათვის. ახლა უკვე მრავალი გაზეთის ფურცლები მოიარა კ. მაროპულოსის განცხადებამ, რომ: „იმედი არ დაგვიკარგავს, ვეცდებით გავიმარჯვოთ და საამისოდ ყოველ ღონეს ვიხმართ. მიზნის მისაღწევად, თუ საჭირო იქნება, მეკარეს ვათამაშებთ ცენტრალურ თავდამსხმელადაც კი".

რა თქმა უნდა, ასეთ უკიდურეს ზომამდე მისვლა საბერძნეთის გუნდს არ დასჭირდება, ვინაიდან მას ცენტრფორვარდის პოსტზე რამდენიმე ძალზე ძლიერი მოთამაშე ჰყავს. მაგრამ მწვრთნელის ეს სიტყვები ნათლად მოწმობს, რომ მასპინძლებს გადაწყვეტილი აქვთ იბრძოლონ ისე, როგორც არასდროს და გამოავლინონ თავიანთი მაქსიმალური შესაძლებლობანი. დაახლოებით ასეთივე განცხადებით გამოვიდა ლ. პეტროპულოსი, მოთამაშეები ფ. პაპაიოანუ, დ. ბალოპულოსი, ს. სკევოფილაკასი და სხვანი. ბევრნი სავარაუდო ანგარიშსაც კი ასახელებენ, რომელიც ბერძნების მინიმალური განსხვავებით გამარჯვებას გულისხმობს (2:1, 1:0).

საბჭოთა ნაკრების მწვრთნელმა ნ. მოროზოვმა პრესის წარმომადგენლებს მიაწოდა თავისი გუნდის საორიენტაციო შემადგენლობა. ასეთივე სავარაუდო სია ჩამოწერა კ. მაროპულოსმაც: იკონომოპულოსი (პეტრაკისი), კამარასი, პაპულიდისი, ვასილიუ, ბელისი (საფიანიდისი), სკევოფილაკასი, დომაზოსი, ლუკანიდისი, პაპაიონოუ, სიდერისი, პაპაემანუელი. თუ ვიხელმძღვანელებთ ამ სიით, ბერძნებმა უცვლელად დატოვეს მხოლოდ დაცვა, შეცვალეს მეკარე, ორივე ნახევარმცველი და ორი ფორვარდი. დომაზოსი, სიდერისი და პაპაემანუელი — ესაა ის ძირითადი ძალა, რომელიც არ მონაწილეობდა მოსკოვის მატჩში და საფუძველს აძლევს ბერძნებს იმედოვნებდნენ წარმატებას.



„ვილი" — ჩემპიონატის ემბლემა

ფეხბურთელის ტრადიციულ ფორმაში გამოწყობილი ეს ლომი ინგლისში დაიბადა. ნათლიებმა მას „ვილი" დაარქვეს. ნათლიები, არც მეტი, არც ნაკლები, ფეხბურთში 1966 წლის VIII ჩემპიონატის ორგანიზატორები არიან. „ვილიც" ამ ჩემპიონატის ემბლემა გახლავთ. იგი ინგლისის საფეხბურთო ლიგამ გამოუშვა ასპარეზობის პოპულარიზაციის მიზნით. გასაგებია, რომ პატარა „ვილი" ბრიტანეთის ტრადიციული ემბლემა-ლომის ორეულია.

ეს მხიარული ემბლემა უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ქვეყანაში და მას ფარგლებს გარეთაც. ინგლისში „ვილიმ" უკვე თავისი ღირსეული ადგილი დაიპყრო აფიშებზეც, სიგარეტების კოლოფებზე და ასე გასინჯეთ, ჭურჭლეულობაზეც კი...

რეზერვი ქუთაისიდან

ამ უკანასკნელ ხანს „ლელოს" ფურცლებზე ბევრი ითქვა და დაიწერა ქართული ტანვარჯიშის სახელოვანი ტრადიციების აღდგენასა და აღორძინებაზე, ახალი რეზერვის ძიების საჭიროებაზე. სწორედ ამ მიზნით გავეცანით ქუთაისის მოზარდთა ტანვარჯიშული სკოლის მუშაობას.

სპორტსკოლას საკმაო ხნის ისტორია აქვს, მისი ბაზა დღეისათვის რესპუბლიკის ერთ-ერთ კეთილმოწყობილ ნაგებობად შეიძლება ჩაითვალოს. გასულ წელს მას 120 კვ. მ ფართობი შეემატა. აქვს გასახდელები, საშხაპეები და სპორტული იარაღები. აქვეა დირექცია, მწვრთნელთა ოთახები. ერთი სიტყვით, შინაგანი „კომფორტი" ნაყოფიერი წვრთნის ყოველგვარ საშუალებას იძლევა.

ახლა სკოლის ტრადიციებსა და დღემდე მიღწეულ წარმატებებზე... საპატიო წიგნში ჩაწერილ სპორტსმენთა შორის 20 სპორტის ოსტატის გვარი ამოვიკითხეთ. ისინი სხვადასხვა დროს იცავდნენ თავიანთი ქალაქის სპორტულ ღირსებას, გამოდიოდნენ რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში. აქაურმა მოსწავლე რ. განუგრავამ 1963 წელს მოზარდთა შორის საბჭოთა კავშირის პირველობაზე თავისუფალ ვარჯიშში ოქროს მედალი მოიპოვა. გასულ წელს არტეკში გამართულ პიონერულ შეჯიბრებაში ძელზე ვარჯიშში ოქროს მედლის მფლობელი გახდა მ. შარვაშიძე, ორძელზე ვერცხლის მედალი მოიპოვა ა. ზაქრაძემ, საერთო გუნდურ ჩათვლაში კი ქუთაისელები II ადგილზე გავიდნენ. მანამდე მათ რესპუბლიკაში მოიპოვეს უძლიერესის სახელი და არტეკის საგზური მიიღეს.

სპორტსკოლის აღსაზრდელებს არც წელს შეურცხვენიათ თავი. მიმდინარე წლის რესპუბლიკურ პირველობაზე საერთო ჩათვლაში მათ II ადგილი დაიკავეს. გოგონათა გუნდი 1961-62-63 წლების უცვლელი ჩემპიონია.

წლების მანძილზე ჩამორჩება ვაჟთა ტანვარჯიში. მათი მომზადების დონე II თანრიგს არ აღემატებოდა. ამჟამად კი სპორტსკოლის ჭაბუკთა გუნდი პირველი თანრიგის პროგრამით ვარჯიშობს. გუნდიდან 4 მოსწავლე რესპუბლიკის ნაკრებშია შეყვანილი.

—როგორია პერსპექტივა?

— ვაჟთა გუნდი გადავა ოსტატობის კანდიდატის პროგრამაზე იმ ვარაუდით, რომ 1966 წლისათვის სრულვყოთ იგი და ქმედითი მონაწილეობა მივიღოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში. — თქვა სკოლის დირექტორმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ი. თავდიდიშვილმა.

სპორტული წვრთნის მეთოდების დამუშავებასა და სრულყოფაში სკოლას სათანადო დახმარებას უწევს თბილისის ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეთოდური საბჭო. სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა ინდივიდუალურ საშინაო დავალებებს მოქნილობაზე, ძალაზე და გამბედაობაზე. კვირაში ერთი დღე დათმობილი აქვს საერთო ფიზიკურ მომზადებას. ეწყობა ექსკურსია-ლაშქრობები და აქტიური დასვენების სხვა ღონისძიებები. ხშირად იმართება საჩვენებელი გამოსვლები და სპორტული საღამოები. საერთო ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ თითქმის არ მოეპოვებათ სასწავლო-მეთოდური ფილმები და თვალსაჩინოების სხვა საშუალებანი.

ქუთაისში ტანვარჯიშული „ცხოვრება" იგრძნობა. ეს პირველ რიგში აქაური მწვრთნელების ჟ. დარსაველიძის, თ. კარანაძის, მ. ბანძელაძის, ვ. კუპრაშვილის, გ. სვანიძის და ზ. ჩოგოვაძის დამსახურებაა. აღნიშნული მწვრთნელები ამჟამად 420 მოსწავლის ამზადებენ, რომლებიც 37 სასწავლო ჯგუფში მეცადინეობენ. მაგრამ თუ მასობრიობის თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, ასეთი დიდი ქალაქისათვის ეს რიცხვი მაინც მცირეა. ტანვარჯიშს ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ეთმობა ადგილობრივ სკოლებში. ამაში, პირველ ყოვლისა, სკოლათა ფიზკულტურის მასწავლებლებს უნდა ვუსაყვედუროთ.

ქუთაისი ჩვენი რესპუბლიკის მეორე სპორტული ცენტრია და ამიტომ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრაში მისი წვლილიც უფრო ქმედითი და მთამბეჭდავი უნდა იყოს.

თ. გაჩეჩილაძე

(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი.

ბრძოლა „მსოფლიო გვირგვინისათვის"

●

პირველი პარტია

მსოფლიო პირველობაზე მატჩის I პარტიაში თეთრებით მოთამაშე მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ი. კუპერმანმა ფრანგული პარტიის რაფაელის ვარიანტში დებიუტიდან უფრო თავისუფალი თამაში მიიღო. თეთრების სტრატეგია იმაში მდგომარეობდა, რომ ხელში ჩაეგდოთ დაფის მთავარი საყრდენი პუნქტები და გაემაგრებინათ ცენტრალური პოზიცია.

მსოფლიო ჩემპიონმა ვ. შჩოგოლევმა ამას ფლანგური სტრატეგია დაუპირისპირა, რომელიც ზუსტ თამაშს მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში თეთრები გამაგრდებოდნენ ცენტრში და მიიღებდნენ გადამწყვეტ უპირატესობას. შჩოგოლევმა პოზიციის ნიუანსების ღრმა ცოდნა გამოამჟღავნა და მარცხენა ფლანგზე წყობილი პაიკების შექმნით, რამაც თეთრების ცენტრალური პაიკები შეავიწროვა, აიძულა კუპერმანი დროზე გაეცვალა ეს პაიკები. ამის შედეგად შეიქმნა ღია პოზიცია დაახლოებით თანაბარი შანსებით.

ორივე მეტოქე ძალების მობილიზებას ცენტრალურ უჯრებზე ახდენდა. გზადაგზა ორივე მხარე მახეს უგებდა ერთმანეთს, მაგრამ მეტოქეებმა მახვილგონივრულად აიცდინეს შენიღბული ხიფათი. შავებმა უფრო ხწრაფად მოახერხეს თავიანთი ძალების კონცენტრირება დაფის ცენტრში და პერსპექტიული პოზიციაც მიიღეს. მაგრამ დროის ნაკლებობის მიუხედავად, ექს-ჩემპიონი შესანიშნავად თამაშობდა და ღრმად ჩაფიქრებული კომბინაციით სწრაფად უვნებელყო მეტოქის მუქარები.

კუპერმანი უპაიკოდ დარჩა, მაგრამ დაფაზე შექმნილ მდგომარეობაში ორივე მეტოქეს შეეძლო მარპიელში (დამა) გასვლა და ყაიმიც გარდაუვალი იქნებოდა. ამიტომ შჩოგოლევის წინადადებით 55-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

თენგიზ ბარამიძე.

სპორტის ოსტატი.



ს უ რ ა თ ზ ე: ვ. შჩოგოლევი პირველ პარტიაში მორიგ სვლაზე ფიქრობს.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

რაიონებში, სტადიონებზე

ხობი

ორ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა ხობის რაიონის სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" 1965 წლის პირველობის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ფიზკულტურის 14-მა კოლექტივმა.

ასპარეზობაში I ადგილი და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" პრიზი დაიმსახურა ხობის სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთის" ახალგაზრდულმა კოლექტივმა, II ადგილი — ახალი ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდმა, ხოლო III — ხამისქურის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელთა კოლექტივმა.

ბ. ალშიბაია,

შ. ხიზანიშვილი.

ზესტაფონი

რკინიგზის № 7 საშუალო სკოლაში გაიმართა შიდასაკოლექტივო შეჯიბრება ფრენბურთში. ეს ასპარეზობა გათვალისწინებული იყო სასკოლო სპარტაკიადის პროგრამით. ფინალში გასვლის უფლება მოიპოვეს VII და XI-კლასელთა გუნდებმა. გამარჯვება დარჩათ მეშვიდეკლასელებს. მათვე დაისაკუთრეს გარდამავალი თასი.

სკოლაში გრძელდება სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობანი მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, ფეხბურთში, კალათბურთში, ველოსპორტში, მძლეოსნობასა და ხელბურთში.

ბ. ახალაია.

ეს ორი ფოტოსურათი ქ. გორის მოსწავლეთა სპორტულ ცხოვრებას ასახავს. პირველზე ქალაქის საჭადრაკო კლუბის ნორჩი მოჭადრაკეები არიან აღბეჭდილი. ისინი დღეს ჩვეულებრივზე ადრე მოსულან და ნ. გაფრინდაშვილისა და ა. კუშნირის ერთ-ერთ პარტიას იხილავენ. სწორედ ამ მომენტს შეესწრო მწვრთნელი ე. ელბაქიძე. იგი ჯერ ინტერესით ადევნებს თვალყურს აღსაზრდელებს, მერე კი თვითონაც ჩაერევა საქმეში, პარტიას გაურჩევს და პასუხსაც გასცემს შეკითხვებზე.

გორში ახლა მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადის დღეებია. ასობით მოსწავლე სპორტის სხვადასხვა სახეობაში ცდის ძალებს. შეჯიბრება ცენტრალურ სტადიონზე გამართული მძლეოსანთა ასპარეზობით დაიწყო. მეორე სურათზე სწორედ ამ ასპარეზობის მომენტია ასახული. მე-5 საშუალო სკოლის X-კლასელი გ. კრიხელი 100 მეტრზე რბენაში ფინიშთან პირველი იყო.

ტექსტი და ფოტო
გ. თომაძისა.

ცვლილებანი

საჭადრაკო ბრძოლის „კოდექსში"

გასულ კვირას ვისბადენში მუშაობა დაამთავრა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) 36-ე კონგრესმა, რომელმაც მთელი რიგი საინტერესო საკითხი განიხილა და ზოგიერთი სიახლეც შეიმუშავა.

დაზუსტდა, რომ ბ. სპასკი — მ. ტალის მატჩი 31 ოქტომბერს დაიწყება თბილისში. მთავარ არბიტრად დანიშნულია ხ. ფლორი. თუ ერთ-ერთი მონაწილე თუნდაც საპატიო მიზეზითაც 10 დღეზე მეტით დააგვიანებს ასპარეზობის დაწყებას, მის მაგივრად ორთაბრძოლაში ე. გელერ — ბ. ლარსენის მატჩში გამარჯვებული ჩაებმება. ეს მატჩი დანიაში გაიმართება. დიდოსტატებმა 6 პარტია უნდა ითამაშონ, მაგრამ ორმხრივი თხოვნის შედეგად შესაძლოა პარტიების რიცხვი 8-10-მდე გაიზარდოს.

ჭადრაკის საბჭოთა ფედერაციას დაევალა 1966 წელს მოაწყოს მატჩი პეტროსიანსა და პრეტენდენტთა ტურნირის ფინალურ ასპარეზობაში გამარჯვებულს შორის. კონგრესმა მიიღო საბჭოთა წარმომადგენლის წინადადება იმის თაობაზე, რომ 1967 წელს მსოფლიო ჩემპიონატი გოგონათა შორისაც გაიმართოს.

დამტკიცდა მომავალი წლის საერთაშორისო შეჯიბრებები. მე-17 ოლიმპიადა დაიწყება ჰავანაში, 25 ოქტომბერს. ასეთივე შეჯიბრება ქალთა შორის გაიმართება გფრ-ში, სტუდენტთა მსოფლიო პირველობა — შვეიცარიაში ან ჰოლანდიაში, ჭაბუკთა 1967 წლის მსოფლიო პირველობა — ისრაელში.

ერთხმად უარყვეს მსოფლიოს ჩემპიონობისათვის ბრძოლაში დღემდე მომქმედი წესი ერთი ქვეყნიდან მონაწილეთა რიცხვის შეზღუდვის შესახებ.

ფიდე-ს კონგრესზე

საბჭოთა დიდოსტატების სპორტულ უფლებებს რამდენიმე ზღუდავდა იძულებითი წრიისყრის წესიც, რომლის ძალითაც ჩვენს მოჭადრაკეებს სტარტზევე ერთმანეთთან უხდებოდათ ბრძოლა. ახლა შეტანილია შესწორება: ერთი ქვეყნის მოჭადრაკენი ერთმანეთს უნდა შეხვდნენ შეჯიბრების დამთავრებამდე 5 ტურით ადრე. ასეთი წესი დამტკიცებულია ვაჟთა ყველა შეჯიბრებისა და მსოფლიო ჩემპიონთან მატჩზე პრეტენდენტ ქალთა ტურნირისთვისაც.

რამდენადმე შემსუბუქებულია პრეტენდენტთა ფინალური მატჩის რეგლამენტი. შეჯიბრების პირველ ეტაპზე მატჩის ყაიმით დამთავრების შემთხვევაში გაიზრდება დამატებითი შეხვედრების რიცხვი. მსოფლიო პირველობაზე მატჩების წესი კი უცვლელადაა დატოვებული.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ შეიმუშავა წოდებათა მინიჭების ახალი წესი. უპირველეს ყოვლისა, გაზრდილია ქულების რიცხვი, რომელიც წოდების მისაღებადაა საჭირო. ამას გარდა, უმაღლესი კატეგორიის ტურნირებში, სადაც წოდების მიღება ერთი წარმატებით შეიძლება, მონაწილეთა რიცხვის არანაკლებ ნახევარს დიდოსტატები უნდა შეადგენდნენ. დანარჩენ შეჯიბრებებში სამი წლის განმავლობაში ორჯერ უნდა იქნას მიღწეული სათანადო ნორმა.

შემოღებულია ერთი სერიოზული სიახლეც. საერთაშორისო დიდოსტატები და ოსტატები სრულფასოვან გამომცდელებად მაშინ ჩაითვლებიან, თუ თავიანთი წოდებების შესაფერის შედეგებს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში უჩვენებდნენ. გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ იმ დიდოსტატებისათვის, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ.

კონგრესმა გადაწყვიტა ევროპის გუნდური ჩემპიონატი 1969 წელს გამართოს, ხოლო შესარჩევი შეჯიბრება — 1967 წელს.

ფიდე-ს შემდეგი კონგრესი გაიმართება ჰავანაში, XVII ოლიმპიადის გახსნის წინ.

კონგრესმა სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციას დაავალა ფიდე-ს სახელით გამოსცეს წიგნი, რომელშიც მოთხრობილი იქნება მსოფლიო ჩემპიონებსა და პრეტენდენტებზე.

სიჭაბუკის მიუხედავად

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა შორის ერთი ახალთაგანია ზესტაფონის კაბელის ქარხანა. სიჭაბუკის მიუხედავად, მან უკვე გაითქვა სახელი მაღალხარისხოვანი პროდუქციით, რომელმაც აღიარება ჰპოვა რუმინეთში, იუგოსლავიაში, მონღოლეთსა და სხვა ქვეყნებშიც. ამ წარმატებაში ქარხნის ახალგაზრდა კადრებსაც მიუძღვით ღირსეული წვლილი. ისინი ენერგიული შრომით ქმნიან სახალხო დოვლათს, თავისუფალ დროს კი ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის და სხვა სახეობათა სექციებში ატარებენ. ამ სექციებს მოწინავე მუშა-სპორტსმენები — ჰ. მუელაძე, ვ. ქებაძე, ლ. ჩილინგარიანი, დ. გურული, ა. აბაშიძე და თ. კირვალიძე ხელმძღვანელობენ საზოგადოებრივ საწყისებზე.

ფიზკულტურელებმა საკუთარი ძალებით მოაწყვეს სპორტთამაშების მოედნები, გამართეს შიდასაკოლექტივო ასპარეზობანი, განამტკიცეს გუნდები და მერე მეზობლებთან შეხვედრებშიც სცადეს ძალები.

ზესტაფონელ მკაბელებს განზრახული აქვთ არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით — გაზარდონ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მომეცადინეთა რიცხვი, აღზარდონ მაღალი თანრიგის სპორტსმენები, რეგულარული წვრთნით დახვეწონ გუნდების ტექნიკური მომზადების დონე, რათა ღირსეულად გამოვიდნენ არა მარტო საქალაქო, არამედ რესპუბლიკურ ასპარეზობებშიც.

ა. განუგრავა.

მატჩი ჩაიშალა

ისევ და ისევ გვიხდება ლაპარაკი ჩვენს საფეხბურთო მინდვრებზე მომხდარ უწესობათა შესახებ. წესრიგის დამრღვევთა სია იზრდება, უსიამოვნო ინციდენტებს ბოლო არ უჩანს და ზოგჯერ საქმე იქამდეც მიდის, რომ უდისციპლინობა შორს ცდება ინდივიდუალურ მოქმედებათა ფარგლებს და კოლექტიურ ფორმებს ღებულობს.

სწორედ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ამას წინათ თბილისის პირველობის გათამაშებისას. ერთმანეთს ხვდებოდნენ კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნისა და ფეხსაცმლის სამოდელო ფაბრიკის გუნდები.

75-ე წუთამდე თამაშს, ასე თუ ისე, არა უშავდა და ფეხბურთსაც ფეხბურთის სახე ჰქონდა. მატჩს საკმაო განსხვავებით იგებდნენ კიროველები, რომლებიც ამ მომენტისათვის მორიგ შეტევაზე გადავიდნენ. გარღვევაზე გასულ მათს ფორვარდს თ. ქათამაძეს შეეტაკა მოწინააღმდეგე მცველი შ. შამოევი, რამაც ამ ორ ფეხბურთელს შორის უშვერი სიტყვების გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. შ. შამოევი, ეტყობა, არ დააკმაყოფილა ასეთი „დიპლომატიური" წესით საკითხის მოგვარებამ და ხელი გაარტყა მეტოქეს. პასუხმა არ დააყოვნა. ატყდა ჩხუბი. „ძმა-ძმისთვისო", ნათქვამია, მაგრამ როცა ეს ძმა ალალი, ღვიძლი ძმაა, მას მით უმეტეს არ მოუთმენს გული. ამიტომ ს. შამოევმაც არ დააყოვნა და ისიც ეცა თ. ქათამაძეს. ორი ძმა ერთის წინააღმდეგ. ძალები უთანასწორო იყო. ამიტომ ფეხსაცმლის ფაბრიკის მოთამაშეები გამოეშურნენ „რინგისკენ" და ათობით მუშტი ასავსავდა ჰაერში. ვილას ახსოვდა ბურთი და ფეხბურთი. კრივი იყო, ნამდვილი კრივი! მსაჯი ა. სიანოზოვი, რომელმაც დროზე ვერ შეძლო აელაგმა თავგასული ხულიგნები, იძულებული გახდა შეეწყვიტა თამაში. მატჩი ჩაიშალა!

ვებრძოლოთ ხულიგნობას!

რას იტყვით თქვენ, ფეხბურთის მოყვარულნო? მოგწონთ ასეთი თამაში?

ხულიგნები დასაჯეს. თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა თ. ქათამაძეს, შ. შამოევსა და ს. შამოევს მისცა დისკვალიფიკაცია 1 წლით. კიროვის სახ. ჩარხსაშენი ქარხნისა და სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივები მოიხსნენ თბილისის პირველობის გათამაშებიდან, გუნდების ხელმძღვანელებს მიეცათ გაფრთხილება. მსაჯთა ბრიგადის საკითხი განსახილველად გადაეცა ქალაქის სამსაჯო კოლეგიას.

ხულიგნებს სასტიკი ომი გამოვუცხადოთ! არავითარი დანდობა! ამ ლოზუნგით უნდა ვიმოქმედოთ წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში ფეხბურთის ოფიციალურ ორგანოებს მხარი უნდა დაუჭირონ მაყურებლებმაც. ვისთვისაც ძვირფასია ფეხბურთი, მან მონაწილეობა უნდა მიიღოს მისი სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლაშიც.

„ა" კლასი

სსრ კავშირის პირველობა

მეორე ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

XVII — XXXII ადგილები

მდგომარეობა 8 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სკა (ნოვოსიბირსკი)	33	13	8	12	38—36	34
„დინამო" (ლენინგრადი)	33	12	8	13	53—45	32
„ტრუდი" (ვორონეჟი)	33	8	16	9	24—22	32
„ყუბანი" (კრასნოდარი)	34	10	12	12	27—29	32
„სპარტაკი" (გომელი)	34	9	14	11	24—31	32
„ლოკომოტივი" (ვინიცა)	33	9	13	11	27—28	31
„ალგა" (ფრუნზე)	33	11	9	13	28—32	31
„ტრაქტორი" (ვოლგოგრადი)	33	9	12	12	27—33	30
„პოლიტგანყოფილება" (ტაშკ. ოლ.)	33	9	12	12	21—31	30
„ვოლგა" (კალინინი)	33	9	9	15	23—36	27
„ლოკომოტივი" (თბილისი)	33	8	10	15	42—48	26
„ენერგეტიკი" (დუშანბე)	33	7	12	14	30—37	26
„მეტალურგი" (ზაპოროჟიე)	33	8	9	16	29—42	25
„სტროიტელი" (აშხაბადი)	33	8	9	16	33—51	25
„დინამო" (ტალინი)	33	5	10	18	24—48	20
„როსტსელმაში" (როსტოვი)	33	7	5	21	21—49	19

საქართველოს პირველობა

გათამაშების ცხრილები

II ქვეჯგუფი

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ქართლი" (გორი)	18	11	4	3	35—19	26
„ბახტრიონი" (ახმეტა)	18	10	4	4	25—18	24
„ირისტონი" (ცხინვალი)	19	9	5	5	30—20	23
„ჰერეთი" (ლაგოდეხი)	19	9	4	6	24—22	22
„იხანი" (თბილისი)	17	7	7	3	27—15	21
„მეტალურგი" (რუსთავი)	19	6	6	7	26—32	18
„დურუჯი" (ყვარელი)	17	6	3	8	25—26	15
„კოლმეურნე" (მარნეული)	15	5	4	6	21—21	14
„ნადიკვარი" (თელავი)	16	6	1	9	22—27	13
„სამცხე" (აწყური)	17	4	5	8	18—28	13
„კახეთი" (ველისციხე)	18	2	1	15	16—41	5

II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლმეურნე" (წალენჯიხა)	19	13	3	3	43—18	29
„ცისკარა" (ბათუმი)	19	11	4	4	29—18	26
გალის გუნდი	18	10	4	4	39—22	24
„სამგურალი" (წყალტუბო)	19	9	5	5	27—20	23
„ხალხინო" (გეგეჭკორი)	19	10	0	9	30—28	20
„სულორი" (ვანი)	18	7	6	5	27—26	20
„კოლხიდა" (ხობი)	18	7	5	6	26—22	19
„შიხურა" (საჩხერე)	18	6	5	7	16—24	17
„თოლია" (ფოთი)	14	6	3	5	15—13	15
„საირმე" (მაიაკოვსკი)	18	4	4	10	31—36	12
„დინამო" (ქუთაისი)	18	2	2	14	16—38	6
„დინამო" (სოხუმი)	17	1	3	13	18—47	5

„ახალგაზრდა კომუნისტის" პრიზზე

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციამ ამ რამდენიმე ხნის წინ დააწესა პრიზი თბილისის ნორჩ ფეხბურთელთა მეტად საინტერესო და საყურადღებო შეჯიბრებისათვის. ლაპარაკია საქალაქო ასპარეზობაზე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების გუნდებს შორის.

დღეს თბილისის სტადიონებზე იწყება ამ პრიზის მორიგი გათამაშება. საინტერესო მატჩები შედგება „ბურევესტნიკის" სტადიონზე. 11 საათზე ერთმანეთს შეხვდებიან საფეხბურთო სკოლისა და ნორჩი დინამოელის გუნდები (1950-51 წლებში დაბადებულნი). 12 საათსა და 10 წუთზე ითამაშებენ ერთი წლით უფროსი, ხოლო 13 საათსა და 30 წუთზე — 1948-49 წლებში დაბადებული ფეხბურთელები.

სკა-ს სტადიონზე შედგება 4 მატჩი თბილისის განათლების განყოფილებისა და „ლოკომოტივის" ნორჩ ფეხბურთელთა შორის. აქ ითამაშებენ 4 ასაკობრივი კატეგორიის გუნდები. თამაშების დასაწყისი—13 საათზე.

„შრომითი რეზერვების" სტადიონზე შედგება 2 მატჩი ამ საზოგადოებისა და № 2 სკოლა-ინტერნატის გუნდებს შორის. 1949-50 წლებში დაბადებულნი ითამაშებენ 11 საათზე, 1948-49 წლებში დაბადებულნი — 12 საათსა და 10 წუთზე.

იუნიორთა საკავშირო ტურნირები

სად არიან თბილისელები?

თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე გრძელდება სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირველობა მძლეოსნობაში იუნიორთა შორის. ასპარეზობაში მონაწილეობს 11 გუნდის 140 სპორტსმენი, რომელთა შორის, სამწუხაროდ, ვერ ვხედავთ თბილისის არმიელთა სპორტული კლუბის ვერც ერთ წარმომადგენელს.

ამ შეჯიბრების შემდეგ შეიქმნება ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს იუნიორთა პირველ საკავშირო ჩემპიონატში. აღსანიშნავია, რომ ეს ღონისძიებაც თბილისში გაიმართება 24-25 ოქტომბერს და მასში გამარჯვებისთვის იბრძოლებენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები.

არმიელთა შეჯიბრებამ უკვე გამოავლინა ნაკრების რამდენიმე უეჭველი კანდიდატი. ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ს. მოსპანოვმა (მოსკოვი) საგრძნობლად გადააჭარბა ოსტატის ნორმატივს, 206 სმ დაძლია და პირველობა გაინაღდა. ოსტატობამდე 0,1 წამი დააკლდა მის თანაგუნდელ ა. ლებედევს, რომელმაც 100 მ რბენაში აჩვენა 10,5. ნაკრებში დაიმკვიდრეს ადგილი აგრეთვე კიეველმა ვ. პანტელეევმა (800 მ რბენაში — 1.52,5), ჭოკით ხტომაში გამარჯვებულმა ვ. ხრისტენკომ (როსტოვი) — 3,95, 110 მ თარჯრბენში უძლიერესმა ა. სინიცინმა (კიევი) — 15,1, ბადროს ტყორცნაში I ადგილზე გამოსულმა ა. ვანსოვსკიმ (მოსკოვი) — 48.27.

საინტერესოდ წარიმართა ბრძოლა 10 კმ სპორტულ სიარულში, სადაც კიეველმა ბ. იაკოვლევმა უკანასკნელ წრეზე მოუგო თანამემამულე ი. ანდრიუშენკოს — 46.28,8.

სხვა სახეობებში გამარჯვებულებმა აჩვენეს მხოლოდ II თანრიგის შედეგები.

ვ. ბუკინი,
ო. ივდოშვილი.

სურათზე: ს. მოსპანოვი სიმაღლეზე ხტომის დროს.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

ბათუმის ბილიკებზე

ბათუმში დამთავრდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა მძლეოსნობაში იუნიორთა შორის. გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები დაიკავეს მოსკოვის, უკრაინისა და რსფსრ-ს გუნდებმა. საქართველო IV ადგილზეა. ჩვენი რესპუბლიკიდან თავი ისახელეს: ლ. გუგეშაშვილმა, რომელმაც ათჭიდში 6038 ქულა მოაგროვა და III ადგილი დაიკავა. ხუთჭიდში III ადგილი მოიპოვა აგრეთვე მისმა თანაგუნდელმა თ. პავლოვამ — 3904 ქულა. ქუთაისელი ი. კოზევსკი უძლიერესი იყო 400 მ თარჯრბენში — 54,1. ქალთა შორის შუბის ტყორცნაში III ადგილი დაისაკუთრა ხ. პოლმა (საქართველო) — 48,91.

შეჯიბრების შემდეგ შედგა ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს იუნიორთა საკავშირო ტურნირში.

ა. ჩანტლაძე.

გუშინ...

დიდი ბრიტანეთის სტადიონებზე

● კარდიფში „ნინიენ პარკის" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ უელსისა და ინგლისის ნაკრები გუნდები. უელსი: სპრეიკი, როდრიგესი. ინგლენდი, ჰოული, გრინი, ჰენესი, რიიზი, ვერნონი, ოლჩერჩი, დევისი, რიისი. ინგლისი: სპრინჯეტი, კოენი, ჯ. ჩარლტონი, მური, ვილსონი, სტაილსი, პეინი, გრივსი, პიკოკი, რ. ჩარლტონი, კონელი.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

მატჩის წინ არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ინგლისი უელსის დამარცხებას შეძლებდა, მაგრამ უელსელებმა კარგად ითამაშეს და კომენტატორთა ქება დაიმსახურეს. ინგლისის ნაკრები კი სრულიადაც არ ჰგავდა მომავალი მსოფლიო პირველობის ფავორიტს. მისი თავდასხმა ძალზე სუსტი აღმოჩნდა.

● ბელფასტში ერთმანეთს შეხვდნენ ჩრდილოეთ ირლანდიისა და შოტლანდიის ეროვნული გუნდები. ჩრდილოირლანდია: ჯენინგსი, მაგილი, ელდერი, ჰარვი, ნილი, ნიკოლსონი, მაკილროი, კროსანი, ირვინი, დუგანი, ბესტი. შოტლანდია: ბრაუნი, ჰამილტონი, მაკ-კრიდი, მაკ-კეი, მაკ-ნილი, გრიგი, ჰენდერსონი, ლოუ, გილზინი, ბაქსტერი, ჰიუზი.

მატჩი შოტლანდიელთა შეტევებით დაიწყო და მე-17 წუთზე ცენტრფორვარდ გილზინის თავური დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 1:0 შოტლანდიელთა სასარგებლოდ. 42-ე წუთზე ირლანდიელმა დუგანმა გაქვითა ეს გოლი — 1:1.

შესვენების შემდეგ ირლანდიელები გააფთრებულად უტევდნენ და 59-ე წუთზე ანგარიში გახდა 2:1 მათ სასარგებლოდ. გოლი გაიტანა კროსანმა. ამის შემდეგ შოტლანდიელები გადავიდნენ იერიშზე და 78-ე წუთზე გილზინმა გაათანაბრა ანგარიში — 2:2. როცა მატჩის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, ირლანდიელმა ირვინმა თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა — 3:2. (საკ. ინფ.).

ახალი ამბები

● კელნი. მსოფლიოს მორიგი პირველობა ველოსპორტში (ტრეკზე) როგორც მოყვარულთა, ისე პროფესიონალებს შორის, ჩატარდება 1966 წელს კელნში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო დასავლეთ გერმანიის ველოსპორტის ფედერაციამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ჩემპიონატის ჩატარება.

● კაირო, 1 ოქტომბერი. „გაქცეულ ირემზე" 25 ორმაგი გასროლით დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ტყვიით სროლაში. ამ ვარჯიშში სსრ კავშირის სპორტსმენებმა ოქროს ორი მედალი მოიპოვეს. პირადში ი. ჟელეზნიაკმა აჩვენა 230 ქულა, გუნდმა კი 908 ქულა მოაგროვა და 10 ქულით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი.

▲ რომი. იტალიისა და სსრ კავშირის გუნდების მატჩი ავტო და მოტოსპორტში მოიგეს მასპინძლებმა 127:97. საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს მხოლოდ მოტოროსსა და წიდოვან ბილიკზე რბოლაში.

▲ ნეაპოლი. მძლეოსანთა საერთაშორისო მატჩში იტალიამ მიიღო ფინეთის და რუმინეთის გუნდები და დაამარცხა ისინი—ფინეთი — 109:98, რუმინეთი — 117:90. პირადში აღსანიშნავია ოტოლის მაჩვენებელი 110 მ თარჯრბენში — 13,9 და ბერუტის — 200 მ რბენაში — 21,2.

▲ კარლსრუე. გფრ-ისა და ინგლისის მძლეოსანთა ვაჟთა ტურნირში გაიმარჯვეს გერმანელებმა — 121:91. გერმანელებმა ესტაფეტაში 4×100 მ დაამყარეს ევროპის რეკორდი — 39,1.

▲ ბუდაპეშტი. უნგრეთის ცურვის ფედერაციამ გადაწყვიტა ყოველწლიურად გამართოს წყალბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება უნგრეთის თასზე.

▲ სოფია. ბულგარეთის მძლეოსანთა ტურნირში გაუმჯობესდა ამ ქვეყნის ორი რეკორდი. ჭოკით ხტომაში დ. ხლებაროვმა აჩვენა 4,96 მ, 110 მ თარჯრბენში ა. ბოუინოვმა — 14,2.

▲ მადრიდი. აქ გაიმართა რეგბის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, რომელმაც დაამტკიცა ევროპის თასის ჯგუფების შემადგენლობა. აი, ისინიც: I ჯგუფი — ესპანეთი, პორტუგალია და მაროკოს შორის გამარჯვებული, II ჯგუფი — ჰოლანდია, ბელგია, III ჯგუფი — პოლონეთი, შვეცია, IV ჯგუფი — იუგოსლავია, გფრ. საფრანგეთი, იტალია, რუმინეთი და ჩეხოსლოვაკია უშუალოდ ფინალში არიან დაშვებულნი.

დღის წესრიგში დგას მეხიკო-სიტის პრობლემები

ამ დღეებში დასავლეთგერმანულმა ჟურნალმა „შტერნმა" გამოაქვეყნა სტატია სათაურით — „სიმაღლის შიში მეხიკოში". ჟურნალი წერს იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ 1963 წელს, როცა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო მექსიკაში ოლიმპიური თამაშების ჩატარების თაობაზე, ბევრი სპორტული მოღვაწე გამოთქვამდა შიშს, რომ მეხიკო-სიტიში, მისი გაიშვიათებული ჰაერის გამო (ჰაერის წნევა 550 მმ-ია, ნაცვლად ნორმალური 760-ისა), დაბლობი ქვეყნების სპორტსმენები უფრო უარეს ვითარებაში მოექცევიან, ვიდრე მექსიკელები და მთიანი ქვეყნების სპორტსმენები. უფრო ადრე, როცა მსგავს მოსაზრებებს პასუხობდა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ევერი ბრენდეჯმა თქვა:

„ჩვენთვის სულერთია, მაღალია თუ დაბალი, ნესტიანია თუ მშრალი, ცივა თუ ცხელა. ოლიმპიადას საკუთარი კერა აქვს დედამიწის ყველა ადგილას". მცირე ხნის წინ ბრენდეჯმა ეს სიტყვები გაიმეორა.

ამით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გამოთქვა სხვადასხვა ქვეყნის სპორტული მოძრაობის წარმომადგენელთა, მათ შორის საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა თვალსაზრისიც. საბჭოთა სპორტული საზოგადოებრიობა ყოველთვის უჭერდა მხარს და ახლაც უჭერს 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად მეხიკო-სიტის კანდიდატურას. რაც შეეხება ამ ქალაქის მაღალმთიან პირობებს, რა თქმა უნდა, აუცილებელია მათი გულდასმითი შესწავლა, რათა რაც შეიძლება უკეთ მოვემზადოთ.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ, მაგალითად, სპრინტერებს, რომლებსაც ასპარეზობისას სულ რამდენჯერმე უხდებათ ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა, გაიშვიათებული ჰაერი ხელს არ შეუშლის. ასმეტრიან დისტანციას მაღალმთიან ადგილზე (ზღვის დონიდან 2300 მეტრზე) სპორტსმენები 0,2 წამით უფრო ადრე ამთავრებენ, ვიდრე დაბლობში. გავიხსენოთ ბრაზილიელი და სილვა, რომელმაც 1955 წელს სამხტომში მსოფლიო რეკორდი დაამყარა და თანაც ისეთი შედეგით, როგორიც მას არასოდეს უჩვენებია წვრთნის დროსაც კი. „საერთოდ, — წერს „შტერნი", — იმ სპორტსმენებს, რომელთა ასპარეზობა 90 წამზე მეტ ხანს არ გასტანს, მეხიკოს ჰავის არ უნდა ეშინოდეთ. პირიქით, მათ ახალი რეკორდების იმედიც უნდა ჰქონდეთ".

სხვა მდგომარეობაში მოხვდებიან ათლეტები, რომელთა ასპარეზობა უფრო ხანგრძლივია. ზოგიერთი ქვეყნის სპეციალისტები ასეთ გამოსავალს გვთავაზობენ: შეჯიბრების წინ სპორტსმენები გადიდებული წნევის სპეციალურ კამერებში „დავტუმბოთ" ჟანგბადით გამდიდრებული (ჟანგბადის 50 პროცენტი) ჰაერით. მაგრამ ჟანგბადის ასეთი „ნემსები" აკრძალულია ოლიმპიური ქარტიით, რადგან მძაფრად აღმგზნებ საშუალებას — დოპინგს წარმოადგენს. მაშასადამე, საჭიროა სწრაფი აკლიმატიზაციის სხვა გზები ვეძიოთ. სწორედ ამ საკითხით არიან ახლა დაკავებულნი მწვრთნელები, სპორტული ექიმები და ეროვნული გუნდების ხელმძღვანელები.

ოლიმპიური საზრუნავი

თამაშების მექსიკელი ორგანიზატორები თავიანთი მხრივ ყოველნაირად ცდილობენ დაეხმარონ დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან იქ ჩასულ სპორტსმენებს ახალ ვითარებასთან რაც შეიძლება სწრაფად შეგუებაში. მცირე ხნის წინ მექსიკის კომპეტენტურმა კომისიამ, რომელიც 1968 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა შეადგინა, გამოიკვლია სპორტსმენთა აკლიმატიზაციის პირობები მეხიკო-სიტიში, რომელიც, როგორც ცნობილია, ზღვის დონიდან 2265 მეტრზე მდებარეობს. სწავლულებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ მსოფლიო კლასის სპორტსმენისთვის ათ დღეზე მეტი არ არის საჭირო, რომ მაღალმთიან ჰავას შეეგუოს. ამ დასკვნამ ბევრ ქვეყანაში ფართო პოლემიკა გამოიწვია.

კენტუკის უნივერსიტეტის მასწავლებელმა, კლიმატოლოგიის ამერიკელმა პროფესორმა ერნსტ იოკლმა განაცხადა:

— ჩემი აზრით, მექსიკელები ვადაში ცდებიან და ამან შესაძლოა მწვრთნელებიც და ათლეტებიც შეაცდინოს. მაღალი კლასის სპორტსმენს დაახლოებით სამი თვე სჭირდება, რომ მაღალმთიან ჰავას შეეგუოს და კარგი შედეგები აჩვენოს.

ჰამბურგელ კლიმატოლოგს, დოქტორ ჰორსტ იუნგმანს (იგი შპორტბუნდმა დასავლეთგერმანელი სპორტსმენების აკლიმატიზაციისათვის პასუხისმგებლად დანიშნა) მიაჩნია, რომ სამი თვე აშკარად გადაჭარბებული ვადაა. მაგრამ ისიც დარწმუნებულია, რომ აკლიმატიზაცია მეტად სერიოზული პრობლემაა. მიმდინარე შემოდგომით იუნგმანი დასავლეთ გერმანიის წამყვანი სპორტსმენების ჯგუფთან ერთად აპირებს მეხიკო-სიტიში გამგზავრებას, რათა ადგილზევე აწარმოოს აკლიმატიზაციის ცდები. „ჩვენ გვინდა მექსიკელ მეცნიერებთან ერთად ვიმუშაოთ ამ პრობლემაზე, — ხაზი გაუსვა იუნგმანმა, — ჩვენ გველის მაღალმთიან ჰავასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრა. და თუ ამას არ გავაკეთებთ, ერთობ მკრთალად გამოვალთ ოლიმპიურ თამაშებზე".

ბარგი აიკრეს ფრანგებმაც. საფრანგეთის სპეციალისტები უახლოეს დღეებში გაგზავნიან დელეგაციას მეხიკო-სიტისკენ. მის შემადგენლობაში 57 სპორტსმენი, ბიოლოგი, პათოლოგი, თერაპევტი, დიეტის სპეციალისტი და ვეტერინარიც კი იქნება. ამ უკანასკნელმა უნდა გამოიკვლიოს ცხენების გამოსვლის პირობები.

შვედმა სპორტსმენებმა გადაწყვიტეს ორთვიანი საწვრთნო შეკრება ეთიოპიის დედაქალაქს — ადის-აბებაში (ზღვის დონიდან 2424 მ) გამართონ.

სხვადასხვა ქვეყნის პრესა სულ უფრო ხშირად იხსენებს 1955 წლის პანამერიკულ თამაშებს. მაშინაც ასპარეზობა მეხიკო-სიტიში ტარდებოდა და მან თვალსაჩინოდ გამოავლინა მაღალმთიან პირობებში გამოსვლის მთელი სირთულე. ბევრი მძლეოსანი რბენის შემდეგ და თვით რბენის დროსაც გონებას კარგავდა. ამერიკელი მსოფლიო რეკორდსმენი 400 მეტრზე რბენაში ლუი ჯონსი იგონებს:

„უკანასკნელ ათ მეტრზე თვალწინ ყველაფერი დამიბნელდა. მე, როგორც ატაცებული, რაღაც ჯაუგებარი ძალით ვმოძრაობდი მიზნისაკენ. იმისა კი, რაც შემდეგ მოხდა, აღარაფერი მახსოვს. მხოლოდ ორი დღის შემდეგ დამიბრუნდა გონება". ჯონსი ასკვნის: ამგვარი ამბები იმიტომ ხდებოდა, რომ ათლეტებს არაფერი ჯაუკეთებიათ მაღალმთიან ჰავასთან შესაგუებლად. იგი აფრთხილებს სპორტსმენებს, რომ 1968 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის აკლიმატიზაციას ერთობ სერიოზულად მოეკიდონ.

ამრიგად, მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების გზაზე სიმაღლის პრობლემა გადაგვეღობა. მაგრამ იმედი გვაქვს, აკლიმატიზაციაში წარმოებული დიდი კვლევა, რომელსაც თამაშების ორგანიზატორები ატარებენ, მექსიკელების გულითადობა და სტუმართმოყვარეობა ნამდვილად დაგვეხმარება წარმატებით მოვხსნათ ეს პრობლემაც. XIX ოლიმპიადის დროშები მექსიკის დედაქალაქის თავზე იფრიალებს.

ა. გურკოვი,
აას-ის სპორტული კომენტატორი.

ს უ რ ა თ ზ ე: სახელგანთქმული ეთიოპიელი მარათონელი, რომისა და ტოკიოს ოლიმპიადების ოქროს მედლების მფლობელი აბებე ბიკილა. სხვათა შორის ბიკილას ყველაზე მეტი შანსები აქვს მეხიკოშიც მოიხვეჭოს „ოქრო", რადგან იგი უკვე შეგუებულია მაღალმთიან პირობებში ასპარეზობას.

აბებე ბიკილას წაბაძვით

სახელგანთქმული ეთიოპიელი მარათონელის აბებე ბიკილას წარმატებამ მძლეოსნობის სპეციალისტთა საერთო ყურადღება მიიპყრო. ოლიმპიური ჩემპიონის წვრთნის მეთოდებით განსაკუთრებით მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც ცხადი გახდა, რომ მომავალი ოლიმპიადა მეხიკოში ჩატარდება. რამ გამოიწვია ეთიოპიელისადმი ასეთი ინტერესი? იმან, რომ აბებე თურმე წვრთნას 3.000-4.000 მეტრ სიმაღლეზე გადიოდა (როგორც ცნობილია, მეხიკოც საკმაოდ მაღლა მდებარეობს ზღვის დონიდან).

ამ ფაქტს ყველაზე ადრე ყურადღება იაპონელებმა მიაქციეს და მძლეოსანთა წვრთნისთვის ტოკიოს აეროსკოლის ბაროკამერა გამოიყენეს. რომელიც დაახლოებით 4.000 მეტრის სიმაღლის პირობებს ქმნის. იაპონელთა გამოგონება სწრაფად გავრცელდა ავსტრალიასა და შეერთებულ შტატებში. მომავალი ოლიმპიადისთვის მარათონელთა წვრთნა ამ ქვეყნებში სწორედ ასეთი მეთოდით იწარმოებს.

პაპის, პეტშიკოვსკის, პოპენჩენკოს სტილში

მოყვარულ მოკრივეთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა, პოლკოვნიკმა რედიარდ რასელმა (ინგლისი) ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი აზრით მექსიკაში მოკრივეთა ისეთი ბრწყინვალე ტურნირი გაიმართება, როგორიც არც ერთ ოლიმპიურ თამაშებზე არ უნახავთ. რასელმა თქვა:

„ჩვენი კავშირი განუხრელად იზრდება. ცოტა ხნის წინ მასში შემოვიდნენ ექვსი ახალგაზრდა აფრიკული სახელმწიფოს მოკრივეთა გაერთიანებანი. სამოყვარულო კრივი ევროპაში კვლავ წარმატებით ვითარდება. კლასი აიმაღლეს სკანდინავიის ქვეყნების მოკრივეებმა. ხანგრძლივი შეფერხების შემდეგ ესპანეთმა და თურქეთმა ევროპის ჩემპიონატზე თავიანთი გუნდები მოავლინეს. კრივმა დიდი პოპულარობა მოიხვეჭა სამხრეთ ამერიკაში. დარწმუნებული ვარ, რომ მეხიკო-სიტიში ოლიმპიურ ასპარეზობაზე უფრო მეტი სახელმწიფო და მსოფლიო კლასის უფრო მეტი მოკრივე წარმოსდგება, ვიდრე ტოკიოში".

საინტერესოა აგრეთვე სახელგანთქმული პოლონელი მწვრთნელის ფელიქს შტამის პროგნოზებიც. „კრივი არ არის ტყავის ხელთათმანებით ფარიკაობა, — ამბობს „ბიძია შტამი". — ასეთი გაგება ერთობ გაუბრალოებულია. ნამდვილად ტექნიკური კრივი მოითხოვს ფიზიკურ ძალასთან და სისწრაფესთან შერწყმულ დახვეწილ საზრიანობას. მძლავრ დარტყმას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იგი გამარჯვების მისაღწევად ერთადერთი საშუალება არ გახლავთ. პირიქით, ასეთი დარტყმის თავად შესაძლებლობა უნდა ქმნიდეს მუდმივ მუქარას, რომელიც მეტოქეს ფრთხილად და გონივრულად მოქმედებას აიძულებს. მაღალ ოსტატობასთან ერთად მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიდება რინგის სასწორზე ინტელექტი და მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ტექნიკურ კრივზე ლაპარაკი. მე მგონია, რომ სწორედ ამ მიმართებით განვითარდება კრივი ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე. ამიტომ ვერ ლი, რომ მეხიკოში გამარჯვებულთა შორის ვიხილავ ისეთი სტილის მოკრივეებს, როგორნიც ლასლო პაპი, ზბიგნევ პეტშიკოვსკი და ვალერი პოპენჩენკო არიან".

• • •

ეს სურათი რომის ოლიმპიადის რინგზე გამართული ორთაბრძოლის მომენტს ასახავს ზბიგნევ პეტშიკოვსკისა და... კასიუს კლეის შორის, რომელიც შემდეგ პროფესიონალებში გადაბარგდა.



ოთხკილომეტრიან სიმაღლეზე

1968 წლის ოლიმპიადისათვის მზადების მიზნით ამერიკელმა მძლეოსნებმა წვრთნა დაიწყეს პერუს ქალაქ ნუნოაში, რომელიც ანდების მთებში, ტბა ტიტიკაკას მახლობლად მდებარეობს ზღვის დონიდან 4 ათას კილომეტრზე.

პენსილვანიის უნივერსიტეტის წამყვანი სპორტსმენების ჯგუფი მეცნიერებისა და მწვრთნელთა ხელმძღვანელობით იქ ფიზიოლოგიურ და სპორტულ გამოცდას გადის. სპორტსმენები თანდათანობით შეეგუენ გაიშვიათებულ ატმოსფეროს, დაძლიეს „მთის ავადმყოფობა" და 1500 მეტრზე საშუალოდ 5.10 წუთი აჩვენეს, ხოლო 3000 მეტრზე — 11.30 წუთი.

ნუნოას გამოცდების პროგრამაში შედის აგრეთვე ფეხბურთელთა მატჩები ინდიელებთან, რომლებიც ადგილობრივ რანჩოებში მუშაობენ.

ამერიკელი სპორტსმენების ერთი ჯგუფი აშშ-ში დაბრუნდა და წვრთნას დენვერში (კოლორადო) აგრძელებს. ამჟამად ისინი ევანსის მთაზე გამგზავრებას აპირებენ, სადაც დაახლოებით ისეთსავე სიმაღლეზე ივარჯიშებენ, როგორზეც ქალაქი მეხიკო მდებარეობს.

ამას გარდა, პენსილვანიის რამდენიმე მეცნიერი პერუელ სწავლულებთან ერთად იკვლევს დიდ სიმაღლეებზე ადამიანის ცხოვრების პრობლემებს.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

შაში. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე. 3 ოქტომბერი. ვ. შჩოგოლევ — ი. კუპერმანის მატჩი მსოფლიო პირველობაზე. დასაწყისი 17 ს.

მაგიდის ჩოგბურთი. ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). 3-4 ოქტომბერი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 10 ს. და 16 ს.

ჭადრაკი. ძერჟინსკის სახელობის კლუბი (ბესიკის ქ. № 4). 4 ოქტომბერი. ნ. გაფრინდაშვილ — ა. კუშნირის მატჩის დემონსტრირება. დასაწყისი 21 ს.

სასტენდო სროლა. „მონკავშირის" სასროლეთი (ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 75). 3-6 ოქტომბერი. „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა. დასაწყისი 10 ს.

მძლეოსნობა. „ბურევესტნიკის" სტადიონი. 3 ოქტომბერი. სსრ კავშირის ახალგაზრდა არმიელ სპორტსმენთა პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 11 ს. და 17 ს.

წყალში ხტომა. ფიზკულტურელის პარკის საცურაო აუზი (სანაპიროს ქ. № 1). 3 ოქტომბერი. თბილისის პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 12 ს.

ჩოგბურთი. ჩოგბურთის კორტები (მარჯანიშვილის ქ. № 29). 3-10 ოქტომბერი. თბილისის პირველობა ვეტერანთა შორის. დასაწყისი: კვირას — 10 ს., დანარჩენ დღეებში—17 ს.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

ძალოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია თანაუგრძნობს სპორტის ოსტატ რ. დათიკაშვილს მისი დედის
ეთერ მორდეხის ასულ
დათიკაშვილის
გარდაცვალების გამო.

ИНДЕКС 66418

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 12220